წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ოქმი №25

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ.წალენჯიხა

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 27 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია,დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია,დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 12: 45 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი. საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: კორნელ კვარაცხელია - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თენგიზ ფიფია - საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2018-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კორნელ კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა. ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი -2, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 52)

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა. ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი -0) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 63)

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია